პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 142 (3119) 24 1966 წ. ივლისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

# მაშ ასე, ტრადიცია დაირღვა

## VIII მსოფლიო პირველობა
ENGLAND 1966 ფინალური VIII ციკლისა

# სსრ კავშირი — უნგრეთი 2:1

სანდერლენდი, 23 ივლისი (საკდესის სპეც. კორ.). მაშ ასე: სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, ბოლოსდაბოლოს, დაარღვია წინა ორი მსოფლიო ჩემპიონატის „ტრადიცია" და მოუგო რა უაღრესად მძიმე მეოთხედფინალური მატჩი უნგრეთის ნაკრებს (2:1), გავიდა ნახევარფინალში.

უნგრელთა მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ თავისი გუნდის შემადგენლობა ჯერ კიდევ წინდღით გამოაცხადა: გელეი, კაპოსტა, შეპეში, მესეი, მატრაი, შიპოში, ნადი, ბენე, ალბერტი, ფარკაში, რაკოში. მასში მომხდარი იყო მხოლოდ ერთი შეცვლა: მინდორზე გამოვიდა ძირითადი ნახევარმცველი ნადი, რომელსაც ახლახან მოურჩა ტრავმა.

ნ. მოროზოვმა საბჭოთა გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა შუადღეს, დერემში გამართულ პრეს-კონფერენციაზე: იაშინი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, ვორონინი, დანილოვი, საბო, ჰუსაინოვი, ჩისლენკო, ბანიშევსკი, მალოფეევი, პარკუიანი. ეტყობა, მწვრთნელებმა ბრძოლაში ჩააბეს მთავარი ძალები, თუ ამასთან მხედველობაში მივიღებთ, რომ დაზიანების გამო თამაში არ შეუძლია ცენტრალურ მცველს მ. ხურცილავას.

მატჩს მსაჯობდა ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო არბიტრი, ესპანელი ხ. კარდეზაბალი, რომელიც მსაჯების დღეს გამოქვეყნებულ სიაში პირველ ადგილზეა უნგრელ ი. ზოლტთან ერთად (10-ბალიანი შეფასებიდან მათ მიღებული აქვთ 9-9).

ბაროტიმ ასეთი დავალება მისცა თავის ფეხბურთელებს: თამაში ეწარმოებინათ ჩვეული შეტევი სტილით. როცა ჟურნალისტებმა მწვრთნელს შეკითხვით მიმართეს, ვარაუდობს თუ არა საბჭოთა ნაკრების დამარცხებას, მან კითხვაზე კითხვითვე უპასუხა: „განა არის ისეთი გუნდი, რომლის დამარცხებაც არ შეიძლება?"

უნგრეთის გუნდს საკმარისად აქვს არტისტიზმიც და ჭეშმარიტი ოსტატობაც. იგი დაყრდნობილი იყო ალბერტის, ბენეს და ფარკაშის მძლავრ დარტყმებს, ნადისა და რაკოშის ხშირ გადასვლას შეტევის ხაზზე. მაგრამ პრობლემა მდგომარეობდა შემდეგში: შეძლებდნენ თუ არა უნგრელები იმ დაცვის დაძლევას, რომელმაც მანამდე, ქვეჯგუფში ჩატარებულ 3 მატჩში გაუშვა სულ 1 ბურთი. „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავდა, რომ საბჭოთა გუნდში არის 3 მთავარი ფიგურა — იაშინი, შესტერნიოვი და საბო.

ვორონინი საგანგებოდ მიუყენეს უნგრელთა შეტევების დისპეტჩერს ალბერტს და ამან დიდად შეაფერხა მათი ფორვარდების მოქმედება, ამასთან ჩვენი გუნდი განწყობილი იყო აგრესიულად და დაზვერვაც ხანმოკლე ჰქონდა. მატჩი ახალი დაწყებული იყო, როცა პარკუიანმა კუთხური დარტყმა გაითამაშა! მალოფეევთან, უკანვე მიიღო ბურთი და ძლიერად დაარტყა. გელეიმ ვერ შეაჩერა ბურთი, რომელსაც მიუსწრო ახლო მყოფმა ჩისლენკომ. ეს მოხდა მე-5 წუთზე, ანგარიში გაიხსნა — 1:0.

შეიძლება ითქვას, რომ უნგრელებს პირველ ტაიმში ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ მათი იერიშები იმსხვრეოდა ჩვენი დაცვის ჯებირზე, რომელსაც უკან ედგა კარის საიმედო მცველი და ხელმძღვანელი იაშინი.

დაიწყო მეორე ტაიმი და საბჭოთა ფეხბურთელებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს: ჰუსაინოვის მოწოდებაზე კარგად გავიდა პარკუიანი. ანგარიში გახდა 2:0. არა, ტყუილად როდი დააყენეს დებიუტანტი დღეს გუნდში, თუმცა ზოგიერთი მწვრთნელი ეჭვის თვალით უყურებდა მას.

უნგრელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს კარის აღება, 58-ე წუთზე: ბენემ უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ბურთი შორეულ კუთხეში — 1:2. ეს იყო ერთადერთი წარმატება, თუმცა გუნდი ხანგრძლივ, თავგანწირულ შტურმზე იმყოფებოდა.

ადრე ორჯერ წაიფორხილეს საბჭოთა ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატების მეოთხედფინალებში, როცა შვეციაშიც და ჩილიშიც დამარცხდნენ მასპინძლებთან.

სხვა მეოთხედფინალების შედეგები ასეთია: პორტუგალიელები აგებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან 0:3 და საბოლოოდ მატჩი მაინც მათ მოიგეს — 5:3. 4 ბურთი გაიტანა ეუსებიომ (2 თამაშიდან, 2 პენალტით).

გფრ-ის ნაკრებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხა ურუგვაის გუნდი. ამ მატჩში ურუგვაელები თამაშობდნენ 9 კაცის შემადგენლობით, ვინაიდან მათი 2 ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან.

ინგლისელებმა მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს არგენტინა — 1:0.

**ნახევარფინალები:**

**25 ივლისს ლივერპულში:** სსრ კავშირი — გფრ.

**26 ივლისს ლონდონში:** ინგლისი — პორტუგალია.

# მინსკის სარბიელზე

უკვე რამდენიმე დღეა მინსკში სტარტი მიეცა სტუდენტთა V საკავშირო თამაშებს. დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდური პირველობის წინასწარი მატჩები, რამაც გამოავლინა ფინალური ჯგუფის მონაწილენი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა მოსკოვის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი — 9:7. საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელებმა მეტად მძიმე ბრძოლაში სძლიეს კიეველ სტუდენტებს — 9:8.

ძალოსანთა შეჯიბრებაში უკვე გათამაშდა პირველი ოქროს მედალი. მისი მფლობელი გახდა უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი, უმძიმესი წონის ძალოსანი ე. ქარიმოვი, რომელმაც სამჭიდში 810 კგ დააგროვა. მან მეოთხე ცდაზე ატაცში დაამყარა სტუდენტთა თამაშების რეკორდიც (97,5 კგ).

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის პირველსავე ორთაბრძოლაში ისახელა თავი სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონმა, თბილისელმა სტუდენტმა ზ. ბერიაშვილმა, რომელმაც მე-4 წუთზე ხალიჩას გააკრა ა. თემიროვი (დუშანბეს პედაგოგიური ინსტიტუტი). მოულოდნელი იყო სსრ კავშირის ჩემპიონის ტ. ალიბეგაშვილის ფრე ლენინგრადელ სპორტის ოსტატობის კანდიდატ ლ. მაზანოვთან.

სტუდენტთა უნივერსიადა გრძელდება.

# ახალი ამბები

● კისლოვოდსკი, 22 ივლისი. სიურპრიზით დაიწყო სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის VIII საერთაშორისო ტურნირი. პირველსავე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა წააგო ლუტიკოვთან. სსრ კავშირის ჩემპიონმა შტეინმა მოუგო დანიელ ჰამანს, გელერმა — ნიკიტინს, ტაიმანოვმა — იუგოსლაველ მატულოვიჩს, ხოლმოვ — სიმაგინის პარტია ყაიმით დასრულდა, ხოლო სტეფანოვ (ბულგარეთი) — ფუქსის (გდრ) შეხვედრა გადაიდო.

● **ტარტუ,** 22 ივლისი. ხარკოველმა ველოსიპედისტმა ლ. ზადოროჟნაიამ ინდივიდუალურ საგზატკეცილო რბოლაში 15 კმ 22.04,2-ში დაფარა და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. II ადგილზე გავიდა ტალინელი ა. მოორლატი — 22.23,1, ხოლო III — ორიოლელი ნ. ტროფიმოვა — 22.39,0. 25 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში იუნიორთა შორის ყველა ჩამოიტოვა ნალჩიკელმა ბ. შუხოვმა — 35.05,2. II ადგილზეა ლენინგრადელი ვ. ნელიუბინი — 35.07,2, ხოლო III — რიგელი დ. ენგელისი — 35.18,9. 100 კმ-ზე ვაჟთა გუნდურ რბოლაში ყველას აჯობეს შეიარაღებული ძალების I კოლექტივის სპორტსმენებმა (ა. პეტროვი, ა. ოლიზარენკო, ა. დოხლიაკოვი, ბ. იიფერტი) — 2:11.84,0. საპრიზო სამეულში არიან: „ბურევესტნიკი" I — 2:13.11,6 და „დინამო" I — 2:14.55,4.

# პირველი ჩემპიონი

მოსკოვში, 4 დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ 1948-51 წ. წ. დაბადებულნი.

შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა ი. ცანავამ (მწვრთნელი ვ. ნედაშკოვსკი). მან 1500 მეტრზე რბენაში დაიკავა I ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკის მძლეოსანთა შორის 1500 მეტრზე შეჯიბრება წელს პირველად ჩატარდა. ასე რომ, ჩვენი თანამემამულე პირველ ჩემპიონად ითვლება.

ტურნირში კარგი შედეგები აჩვენეს ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებმაც. გლდანის სკოლა-ინტერნატის აღზრდილმა ვ. სამხარაულმა (მწვრთნელი ვ. ვლოვინი) II საპრიზო ადგილი დაისაკუთრა შუბის ტყორცნაში. თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლე ე. კონდრატიევი (მწვრთნელი ე. გაგუა) III იყო 200 მეტრზე რბენაში.

III საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს და რესპუბლიკის რეკორდები გააუმჯობესეს ჩვენმა მძლეოსნებმა, გოგონათა და ჭაბუკთა ესტაფეტებში (4×100 მ). გოგონათა გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ქუთათელაძე, კონონენკო, იახშიანი და ლომიძე, ხოლო ჭაბუკთა გუნდში — კონდრატიევი, ბარსუკოვი, ბექაური და გოლეთიანი.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივმა VIII ადგილი დაიკავა.

## საათს!

◆ ბუდაპეშტი, 23 ივლისი. აქ დაიწყო ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის ფრენბურთში. წარმატება ხვდათ წილად ჩვენს სპორტსმენებს. გოგონებმა დაამარცხეს გფრ-ისა (3:0) და გდრ-ის (3:1) გუნდები. ჭაბუკებმა სძლიეს პოლონელებს — 3:0.

◆ **ნიუ-იორკი,** 23 ივლისი. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სანფრანცისკოელმა 14 წლის გოგონამ ლ. ვიდალიმ — 2.29,0.

◆ სომბათხეი, 23 ივლისი. საბჭოთა დიდოსტატმა დ. ბრონშტეინმა უკვე გაინაღდა პირველი ადგილი უნგრეთის ამ ქალაქში მოწყობილ ლ. ასტალოშის სახელობის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. დ. ბრონშტეინმა დააგროვა 11,5 ქულა. მას პირველ ადგილს შეიძლება შეეცილოს ვ. ულმანი (გდრ), რომელსაც 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

# ლუჟნიკის სახელობისა

მოსკოვში დამთავრდა კალათბურთელთა ტურნირი, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის 10 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 2 ნაკრები (მოზრდილთა და ახალგაზრდული), აგრეთვე რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის გუნდები.

მოგვყავს შეხვედრათა შედეგები:

**I დღე:** სსრ კავშირის ნაკრები — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები 76:68 (31:38), უკრაინა — რსფსრ 67:47 (31:24).

**II დღე:** სსრ კავშირის ნაკრები — რსფსრ 95:78 (42:36), სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — უკრაინა 59:66 (26:30).

**III დღე:** სსრ კავშირის ნაკრები — უკრაინა 75:70, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — რსფსრ 92:73.

ამრიგად, ტურნირში I ადგილი და ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის სპეციალური ჯილდო სსრ კავშირის ნაკრებმა მოიპოვა. II ადგილზე გამოვიდა უკრაინის გუნდი, III — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, ხოლო IV — რსფსრ-ს გუნდი.

# მეგობრები — მსოფლიოს რეკორდსმენები



მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა რეკორდსმენი და ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონი. სწორედ ამ სპორტსმენებს ხედავთ ამ სურათზე. მარცხნივ — 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენი, 13 წლის ი. პოზდნიაკოვაა, მარჯვნივ კი — ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი გ. პროზუმენშჩიკოვა. პოზდნიაკოვამ თავის უფროს მეტოქეს ერთი რეკორდი წაართვა. „გაგულისებულმა" ოლიმპიურმა ჩემპიონმა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ისახელა თავი და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. პროზუმენშჩიკოვა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს თავის უმცროს მეგობარს. საწყლოსნო ბილიკებზე მეტოქეობა ხელს არ უშლით მათ ცხოვრებაში კარგი მეგობრები იყვნენ.

ფოტო ვ. უნ და-ხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ტურისტთა თანამგზავრი

ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდება ტურიზმის — აქტიური დასვენების ამ ყველაზე მასობრივი საშუალების მოტრფიალეთა მრავალმილიონიანი არმია, საბჭოთა ადამიანები მოგზაურობენ მშობლიურ მხარეში. ყოველწლიურად ფართოვდება საზღვარგარეთის ქვეყნებთან ტურისტული ურთიერთობაც.

სსრ კავშირში ტურიზმი დიდი ყურადღებითა და მზრუნველობითაა გარემოხილი. მისი შემდგომი განვითარებისთვის იხარჯება მილიონობით მანეთი. იზრდება ახალი ტურისტული მარშრუტები და საექსკურსიო ტურისტული ბიუროებისა თუ ბაზების რიცხვი. მარტო ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში წიგნებად ან ბუკლეტების სახით ასეული ათასობით დასახელების ტურისტული ლიტერატურა გამოიცა — გზამკვლევი თუ ტურისტული მარშრუტების აღწერა, პლაკატი თუ ღია ბარათი. ისინი ეხმარებიან მოგზაურობის მოტრფიალეთ წინასწარ გაეცნონ ღირსშესანიშნაობებს, რომლებსაც მომავალი ექსკურსიებისა და ლაშქრობების დროს ნახავენ, შეისწავლონ სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული თავისებურებანი, გაეცნონ ჩვენი ხალხის კულტურას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მშობლიური მხარის შემსწავლელ ენთუზიასტებს და მოგზაურობის მოყვარულთ დღემდე არ ჰქონდათ რაიმე პერიოდული ორგანო, რომელიც უკეთ წარმართავდა ტურისტულ მოძრაობას, გააცნობდა მკითხველს ტურიზმის ყოველგვარ სიახლეს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, მშრომელთა ფართო მასებთან ერთად წამოჭრიდა და დასახავდა ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს.

და აი, წლეულს გამოვიდა ახალი ყოველთვიური მხატვრულ-ილუსტრირებული ჟურნალი „ტურისტი". ეს არაა ჟურნალი მხოლოდ ტურისტებისთვის, ვიწრო დარგობრივი სპეციალობის ორგანო. იგი განკუთვნილია მკითხველთა ფართო მასებისთვის.

„ტურისტის" გამოსვლამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც. ჟურნალს და მის მკითხველებს გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა კოსმონავტები ა. ნიკოლაევი და ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. დელონე, ჯანმრთელობის მინისტრი ბ. პეტროვსკი, ინგლისელი მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი, ჩეხი მოგზაურები მ. ზიკმუნდი და ი. განზელკა.

ეს ჟურნალი საუკეთესო მრჩეველი იქნება როგორც ტურისტებისთვის, ისე ყველა იმათთვის, ვისაც უყვარს ბუნება, ერის წარსული, აწმყო და მომავალი.

ჟურნალი მკითხველს ურჩევს როგორ გამოიყენოს შვებულება, უქმე დღეები და დღესასწაულები, აცნობს ტურიზმის მასობრივი განვითარების პერსპექტივებს როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მოუთხრობს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული წარსულის, ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და თანამედროვე ღირსშესანიშნაობათა შესახებ.

ჟურნალი მიზნად ისახავს თავის ფურცლებზე წამოჭრას ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის მასობრიობის საჭირბოროტო საკითხები (სამწუხაროდ, ადგილობრივი ტურიზმის დიდი მასობრიობით ვერ დაიკვეხნის ვერც ჩვენი რესპუბლიკა, რომელსაც ტურისტულ ღირსშესანიშნაობათა თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. [illegible] ჩვენ მოწმენი ვართ, რომ ჩამოსული სტუმრები გაცილებით მეტს ათვალიერებენ [illegible] საქართველოში, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრებლები).

„ტურისტი" მეთოდურ დახმარებას გაუწევს ტურისტულ ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს, რომლებიც გაეცნობიან საზღვარგარეთის ქვეყნების ტურიზმის მიღწევებს და მათ პერსპექტივებს.

ჟურნალში თანამშრომლობენ ცნობილი მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, ჟურნალისტები, სპორტსმენები, ტურიზმის ვეტერანები და ფართო საზოგადოებრიობა.

„ტურისტი" 1966 წლის იანვრიდან გამოდის და ჩვენს რესპუბლიკაში კი დღეისთვის ხელისმომწერთა რაოდენობა მხოლოდ 600-ს აღწევს.

მეგობრებო! ვისაც გიყვართ მოგზაურობა, ტურიზმი, არ დააყოვნოთ, გამოიწერეთ ახალი ჟურნალი „ტურისტი".

**ა. ჯანჯღავა,**
ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.




# მსახიობები ოდესის გმირქალაქში

ოდესაში საგასტროლოდ იყო და უკრაინელი მაყურებლის წინაშე წარმატებით გამოვიდა სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული დასი.

გმირი ქალაქის შემოგარენი დასერილია პარტიზანული ბილიკებით, რომლებიც მრავალ მნახველს იზიდავს. ოდესის 17 ტურისტული მარშრუტით ყოველდღიურად მიუყვებიან გზას შურგჩანთიანი მოგზაურები. ჩვენი თეატრის ტურისტულმა სექციამ აქაც მოაწყო რამდენიმე საინტერესო ლაშქრობა. მსახიობი-ტურისტი ა. ნუცუბიძე, მ. გვალია, ქ. მარტიროსიანი, მ. ჩუბინიძე, ს. მრევლიშვილი და სხვები — სულ 35 კაცი ესტუმრა იმ ადგილებს, სადაც ოდესელი პარტიზანები იბრძოდნენ. ქალაქიდან 20 კილომეტრის მოშორებით ნახეს მიწისქვეშა გვირაბები, სადაც მუშაობდა პარტიზანთა შტაბი საბჭოთა კავშირის გმირის ვ. მოლოცოვის ხელმძღვანელობით, პარტიის არალეგალური ქალაქგარე რაიკომი, არალეგალური სტამბა და სხვ.

ტურისტებმა გვირაბში ფეხით 12 კმ გაიარეს.

**ნ. მიქაშავიძე.**
(ჩვენი კორ.).
ოდესა.

# სპორტული ქრონიკა

### ტურიზმი

„განთიადის" საქალაქო საბჭოს თაოსნობით ჩატარდა ტურისტთა ასპარეზობა, რომელშიც ბამბეულის კომბინატისა და საკონსერვო ქარხნის 42 სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა ესტაფეტა, კარვის გაშლა, წყლის ადუღება.

საერთო I ადგილი დაიკავა ბამბეულის კომბინატის I გუნდმა, რომელმაც ყველას აჯობა წრიულ ამანათობებსა და წყლის ადუღებაშიც. კარვის გაშლაში პირველობა მეკონსერვეებს ხვდათ.

საწყენია საწარმოო მეურნეობის კომბინატის, ქარხანა „გორხელსაწყოს" და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზკულტურული კოლექტივების უპასუხისმგებლობა, რომელთაც ამ საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიიღეს.

### მოტოკროსი

ქვერნაქის მთის ფერდობზე ჩატარდა საინტერესო მოტოკროსი საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა დოსააფ-ის ავტო-მოტოკლუბების 12 გუნდი თბილისიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან, რუსთავიდან, გორიდან და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან. პირველობა არავის დაუთმეს სოხუმელებმა. II ადგილზე გავიდნენ რუსთაველი, ხოლო III — თბილისის ასკ-ს მოტოციკლისტები.

საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა გორის ავტო-მოტოკლუბის წარმომადგენელმა — 16 წლის გ. კოტელნიკოვმა, რომელიც 125 კბ სმ მანქანას მართავდა.

**ი. თევდორაშვილი.**



# სად ხარ, ნუგზარ?!

ნუგზარ ლებანიძე შარშან, 18 მაისს გავიდა სახლიდან და შინ აღარ დაბრუნებულა.

იგი თბილისის 58-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე იყო. მასწავლებლები, ამხანაგები, ნათესავები მას იცნობდნენ როგორც წესიერ, თავმდაბალ, მოკრძალებულ ყმაწვილს. ნუგზარი არასოდეს შეუნიშნავთ ცუდ ზნეს აყოლილ ახალგაზრდებთან. მას, როგორც ყველა მის ამხანაგს, უყვარდა სწავლა, დასვენება, გართობა, გატაცებული იყო სპორტით.

რატომ უნდა წასულიყო იგი სახლიდან? იქნებ, ამის მიზეზი საკუთარი ძალის გამოცდის წყურვილი იყო. იქნებ, ჭაბუკმა იფიქრა, — აბა, ვნახოთ, ვიცხოვრებ თუ არა დამოუკიდებლად, მშობლების ზრუნვის გარეშეო. იქნებ, მართლაც გადამალა მისი გონიერება ამ ყმაწვილკაცურმა წადილმა? შეიძლება ახლა ნუგზარი სადმე თქვენთან ახლოს არის. იქნებ შეასრულა კიდეც ეს გადაწყვეტილება, იქნებ უფრო აერია გზა. შეიძლება მან თავადაც წაიკითხოს ეს სტრიქონები, მიხვდეს რა ტკივილი მიაყენა მშობლებს — თამარ მუშტარეულს და შალვა ლებანიძეს და ახლა მაინც გამოასწოროს თავისი შეცდომა. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, ვთხოვთ ყველა მკითხველს, შეგვატყობინოს თუ კი რამ იცის ნუგზარ შალვას ძე ლებანიძის შესახებ.

ყოველგვარი ცნობა გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 14, „ლელოს" რედაქცია.

## „ლელო" წერილის კვალდაკვალ

### „ბევერი მოგონებითა, ჯეელი მოლოდინითა"

ჩვენი გაზეთის 11 ივნისის ნომერში დაბეჭდილი იყო კრიტიკული წერილი — „ბევერი მოგონებითა, ჯეელი მოლოდინითა", რომელშიც მხილებული იყო თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის" კალათბურთის მოედნის უვარგისი მდგომარეობა.

როგორც ამ საწარმოს პარტბიუროს მდივანმა მიქავამ და პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ სოლოვიოვამ გვაცნობეს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

# ავტორიტეტის

დაეშვა მოფარიკავეთა მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის ალამი. უძლიერეს მუშკეტერთა ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდა 28 ქვეყნის 800-ზე მეტი სპორტსმენი. ასეთი მრავალრიცხოვანი შეჯიბრება პირველი იყო ფარიკაობის ისტორიაში. გასული მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტები — სსრ კავშირის, საფრანგეთისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები ამჯერადაც ძირითადი კონკურენტები იყვნენ მედლების მოპოვებისა. ტიტულს იცავდა მსოფლიოს 4 ჩემპიონი — ფრანგი რაპირისტი ჟან კლოდ მანიანი, პოლონელი ესპადრონისტი ეჟი პავლოვსკი, უნგრელი დაშნით მოფარიკავე ზოლტან მენერე და საბჭოთა სპორტსმენი გალინა გოროხოვა. მათგან მხოლოდ ერთმა შეინარჩუნა საპატიო წოდება.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა ახალ ჩემპიონებს. აი, რა თქვეს მოსკოვის პირველობის გმირებმა.

### ● გერმან სვეშნიკოვი:

— მსოფლიოს ოქროს ჩემპიონთან — ფრანგ ჟან კლოდ მანიანთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, მაგრამ საფარიკაო ბილიკზე თავგანწირვით ვებრძვით ერთმანეთს. გასულ ჩემპიონატში, რომელიც პარიზში გაიმართა, ფრანგს ჩვენს შეხვედრამდე ჰქონდა უზრუნველყოფილი ოქროს მედალი. მაგრამ, მე მაინც ვიბრძოდი გამარჯვებისთვის, რადგან იგი ბრინჯაოს მედლით „მასაჩუქრებდა". მე ერთადერთი სპორტსმენი აღმოვჩნდი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონი დავამარცხე.

და აი, კვლავ ფინალი. ამჯერად მოსკოვში. ახლა ერთმანეთს უფრო „დრამატულ" სიტუაციაში, ბოლო ბრძოლაში შევხვდით. მეტოქეებს მოგებათა თანაბარი რაოდენობა გვაქვს — 4-4. ფინალამდე ორივე დაუმარცხებლად მოვედით. ვინც გაიმარჯვებს, მსოფლიო ჩემპიონიც ისაა. ბრძოლა ჩემთვის არც თუ სახარბიელოდ დაიწყო. ფრანგმა ზედიზედ სამი ჩხვლეტა მომაყენა და მე მხოლოდ ერთით ვუპასუხე. მაგრამ შემდეგ ჩემი საყვარელი შეტევები გამოვიყენე და ანგარიში გავათანაბრე. ბოლოს მომენტი შევარჩიე და მეხუთე გადამწყვეტი ჩხვლეტა მივაყენე ფრანგ მოფარიკავეს.

ეს ოქროს მედალი ერთადერთი როდია ჩემს კოლექციაში. ჯერ კიდევ 1962 წელს ბუენოს-აირესში (საინტერესოა, რომ მაშინაც მანიანი მეცილებოდა ტიტულს) მე მოვიპოვე 1 ადგილი. ისიც არავის შეჰპარვია, რომ რაპირით ბრძოლაში გუნდური პირველობა საბჭოთა სპორტსმენებს დარჩებოდათ. საქმე ის გახლავთ, რომ 1959 წლიდან ჩვენს ნაკრებს არც ერთხელ არ გაუშვია ხელიდან მაღალი ტიტული და ამ ასპარეზობამდე უკვე 7 მედლის მფლობელი ვიყავით. მოსკოვის ჩემპიონატი მოვიგეთ არნახული უპირატესობით, დავამარცხეთ რა ფინალში უნგრეთის გუნდი თავისებური რეკორდით — 9:1.

თუ მსოფლიოს რაპირისტების ძალთა თანაფარდობაზე ვილაპარაკებთ, 1966 წლის ჩემპიონატმა ვერ გამოავლინა შესამჩნევი ცვლილება ამ მხრივ. პირადი ტურნირის ფინალში იბრძოდნენ ცნობილი ოსტატები, გუნდურ პირველობას კი ახალი არაფერი მოუცია.

### ● ეჟი პავლოვსკი:

— ჯერ კიდევ მოსკოვში ჩამოსვლამდე გადავწყვიტე აუცილებლად მევდო ხელთ მსოფლიო ჩემპიონის მესამე ოქროს მედალი და გავტოლებოდი საბჭოთა ესპადრონისტ ი. რილსკის, ერთადერთ სამგზის ჩემპიონს. ბოლო მედალი რილსკიმ ჩვენთან, პოლონეთის მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვა, როცა გადამწყვეტი ორთაბრძოლა მომიგო. მოსკოვის პირველობის პირადი ტურნირის დამთავრებისას უკვე ვიცოდი, რომ გავიმარჯვებდი. ჩემს ძლიერ მეტოქეს აღარ შეეძლო „ოქროსთვის" ბრძოლა. ესპადრონში ისე, როგორც არც ერთ სხვა სახეობაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ავტორიტეტს, სპორტსმენის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ ბრძოლებში მოპოვებულ სახელს. რაც შეეხება საბჭოთა სპორტსმენებს, ისინი არც თუ ცუდად გამოვიდნენ. ნამდვილად აღმოჩენა იყო ჩემპიონატის დებიუტანტი მ. ვინოკუროვი, რომელმაც IV ადგილი დაიკავა. იგი დიდი აღმავლობით იბრძოდა, მოქმედებდა უფრო სწრაფად, ვინემ მისი მეტოქეები. მას მხოლოდ გამოცდილება და ავტორიტეტი არ ეყო, რომ მედლის მფლობელი გამხდარიყო. ვინოკუროვი აუცილებლად მომიგებდა, უფრო საზრიანად რომ ებრძოლა ჩემთან. იგი 23 წლისაა, ეს კი ესპადრონისტისთვის ძალზე ჭაბუკური ასაკია. ვფიქრობ, უახლოეს ხანებში ვინოკუროვი მსოფლიოს საუკეთესო ოსტატებს ამოუდგება მხარში.

პირადი ტურნირის ფინალში მოხვდ-

# VIII მსოფლიო ჩემპიონატი

ENGLAND 1966 ფეხბურთი VIII ინგლისი



## პელე ჩემპიონატებში არ ითამაშებს

ლონდონის ჩემპიონატში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის — ბრაზილიის ფეხბურთელთა გროვნული ნაკრების წარუმატებლობა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, თუმცა ამ საკითხს, როგორც ჩანს, სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები კიდევ არაერთხელ დაუბრუნდებიან. ბრაზილიაში სათაყვანებელი გუნდის მარცხი ძალზე მტკივნეულად გადაიტანეს. ამბობენ, რიო-დე-ჟანეიროსა და სხვა დიდ ქალაქებში, დღესაც გრძელდება უსიამოვნო ინციდენტები ბრაზილიელებსა და ამ ქვეყანაში მცხოვრებ პორტუგალიელებს შორის. იმასაც ამბობენ, რომ პორტუგალიური წარმოშობის ბრაზილიელები სხვადასხვაგვარ უსიამოვნებათა თავიდან აცილების მიზნით, დღემდე ე. წ. შინაურ პატიმრობაში იმყოფებიან.

ოფიციალური პირები კი საქმის ვითარებას სულ სხვაგვარად ხატავენ. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჟ. ავილანჟის განცხადებით, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის სამშობლომ თავისი საყვარელი გუნდის მარცხი უკვე მოინელა და იგი მოცემულ ეტაპზე სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით არის დაკავებული. რამდენად სწორია ავილანჟის განცხადება, ჩვენთვის უცნობია. ძნელი დასაჯერია, რომ ბრაზილია ლონდონის სირცხვილს ასე იოლად შეეგუოს. მაგრამ ჟ. ავილანჟი ოფიციალური პირია და ჩვენ ნება არ გვაქვს, არ ვირწმუნოთ მისი სიტყვები.

მაშ, ასე, მსოფლიოს ჩემპიონის მარცხი ბრაზილიელთათვის ისტორიას ჩაბარდა. მაგრამ საინტერესოა რა უფრო მნიშვნელოვანი საკითხებით არიან დაკავებული ფეხბურთის მესვეურები? ჟ. ავილანჟის განცხადებით, ბრაზილია სულ მალე შეუდგება რევანშისთვის სამზადისს. მაგრამ ამიერიდან იგი (ე. ი. ნაკრები, რედ.) უარს ამბობს პელეზე, უფრო სწორად კი იძულებულია უარი თქვას მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატში პელეს მონაწილეობაზე.

ერთი შეხედვით, ასეთი გადაწყვეტილება პარადოქსულად ჟღერს ბრაზილიელთა მომავალი გეგმების ფონზე. მაგრამ ჟ. ავილანჟი ამ საკითხის გარშემო ასეთ განმარტებას იძლევა: ბრაზილიური ფეხბურთისთვის და არა მარტო ბრაზილიური, არამედ მსოფლიოს ფეხბურთისთვის პელე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი რომელიმე ჩემპიონატი. „სამწუხაროდ „შავი მარგალიტის" ყოფნა-არყოფნა ყოველ კალენდარულ მატჩში ბეწვზე ჰკიდია. „ფეხბურთის სამყარო ბარბაროსულად ექცევა პელეს, — განუცხადა მან კორესპონდენტებს, — ჩვენი ყოველი მეტოქის პირველი ამოცანა პელეზე ნადირობაა. ამიტომ იგი ოფიციალურ ჩემპიონატებში არ ითამაშებს".

თუ ჟ. ავილანჟი ამ გადაწყვეტილებას ცხოვრებაში გაატარებს, სპორტული სამყარო პელეს მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში იხილავს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ არ იქნება გამოყენებული „რეპრესიები". როგორც კი შევამჩნევთ ასეთს, — თქვა თავისი სიტყვის დასასრულს ჟ. ავილანჟმა, — იმავ წამს გამოვიყვანთ მას მოედნიდან.

საინტერესოა ვის ეკუთვნოდება პრეზიდენტი: პელეს თუ იმ მილიონებს, რომელიც „შავ მარგალიტს" მოაქვს?



— ჭიუტი კაცია, თავისი პროგნოზების მიხედვით უყურებს.

ნახ. გ. იაშვილისა.

## ...უკან, სამშობლოსაკენ

მკაცრია, ძალზე მკაცრი მსოფლიო ჩემპიონატის ფორმულა. ჯგუფური ტურნირების დამთავრების შემდეგ 8 გუნდმა, „ოქროს ქალღმერთთან" ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. „გაკოტრებულები" სხვადასხვა გუნებაზე ბრუნდებიან სამშობლოში. მექსიკელები თავიანთ გამოსვლას ინგლისის სტადიონებზე წარმატებად მიიჩნევენ, რადგან მათ იმდენივე ქულა დააგროვეს, რამდენიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა. არხეინად ბრუნდებიან სამშობლოში შვეიცარიელებიც, რადგან იმაზე მეტს, რასაც მიაღწიეს, მათგან არავინ მოელოდა.

ბულგარეთის მწვრთნელმა ვიტლაჩილმა განაცხადა, რომ იგი არ ემდურის ფეხბურთელებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს. „ჩვენს ბიჭებს ბედი არ წყალობდა. მაგრამ მაინც კარგი გაკვეთილი მივიღეთ, მუდამ ხომ ასეთ ძლიერ ჯგუფში არ ვითამაშებთ".

ბრაზილიელებმა, რომლებიც არ მოელოდნენ სამშობლოში ასე ადრე დაბრუნებას და ამიტომაც დროზე ვერ შეუკვეთეს თვითმფრინავის ბილეთები, ბოლო დღეებში უკან წასვლის საქმეებით იყვნენ დაკავებული. ბოლოსდაბოლოს ისინი სამშობლოში გაემგზავრნენ. ბრაზილიაში ჩასვლისთანავე გადადგება გუნდის 7-კაციანი ხელმძღვანელობა ვ. ფეოლას მეთაურობით.

მაინცდამაინც მხიარულ გუნებაზე არც ესპანელები არიან, რადგან მეოთხედფინალში თამაში მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ ბრაზილიელებისა და იტალიელების საწინააღმდეგოდ ესპანელებს სამშობლოში დაბრუნებისა არ ეშინიათ. როგორც გუნდის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, „ჩვენ გვშველის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისა და იტალიელთა მარცხით".

გუშინ გამოირკვა იმ ოთხი გუნდის ვინაობა, რომლებსაც ფინალამდე სამშობლოში დაბრუნება მოუწევთ, მათ შორის ორი სამხრეთ ამერიკიდანაა: არგენტინა და ურუგვაი. ჩემპიონატი დატოვა ინგლისის საოცრებამ (ასე უწოდებენ ფეხბურთის სამშობლოში კორეის გუნდს) და უნგრეთის ძლიერმა ნაკრებმა.

მაგრამ ისინი ამაყად მიდიან ბრიტანეთის კუნძულებიდან, ვინაიდან მეოთხედფინალში მონაწილეობა ყველა გუნდისთვის საპატიო საქმეა.



## პამიდვრის სეტყვა...

როგორც იუპის სააგენტოს გენუელი კორესპონდენტი იუწყება, გენუის აეროპორტში ჩასულმა იტალიელმა ფეხბურთელებმა კარაბინერების ესკორტის წყალობით ძლივს დააღწიეს თავი გამძვინვარებულ იტალიელ გულშემატკივრებს.

თვითმფრინავის ჩაფრენის დროს არ ამხელდნენ, მაგრამ იტალიის ნაკრების დასახვედრად მაინც დიდძალი გულშემატკივარი შეიკრიბა. 700-ზე მეტი კაცი დილიდან უცდიდა ფეხბურთელებს, როცა საჰაერო ხომალდი აეროპორტის მახლობლად დაეშვა, „ტიფოზებმა" მას სეტყვასავით დააყარეს პამიდორი.

ფეხბურთელთა საბუთები სასწრაფოდ გააფორმეს და ნაკრების წევრები ავტობუსში შეცვივდნენ. აეროპორტის ტერიტორია ორი ახოვანი პოლიციელის თანხლებით უკანასკნელმა დატოვა ე. ფაბრიმ.

აეროპორტში დარჩა მხოლოდ 3 ფეხბურთელი, რომლებიც ცოტა ხნის შემდეგ თავიანთ მშობლიურ ქალაქებში უნდა გაფრენილიყვნენ — ტრავმირებული ჯ. ბულგარელი, ჯულიანო და რიცო. ეს ორი ფეხბურთელი ჩემპიონატის მატჩებში არ მონაწილეობდა. ჟურნალისტების შეკითხვაზე მხოლოდ ბულგარელიმ ამოიღო ხმა: „ვერაფერს ვიტყვი, ყველას ერთნაირად გვრცხვენია".



## დამთავრდა ისტორია? — ## დამთქაიცეზა

ნენ ძველი მეტოქეები — ოლიმპიური ჩემპიონი ტ. პეჟა, გამოცდილი სპორტსმენი ზ. ხორვატი და ტემპერამენტიანი იტალიელი ვ. კალარეზე, აგრეთვე საბჭოთა მოფარიკავეები ი. რილსკი, ე. ვინოკუროვი და მ. ასე. რომ, კვლავ ნაცნობი სახეები, კვლავ ცნობილი ოსტატები.

სამაგიეროდ, გუნდურ ტურნირში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი — უნგრეთის ნაკრები ამ ბოლო ხანებში ასაკობრივ კრიზისს განიცდიდა. ახლა, როცა ჩემპიონატი დამთავრდა, შეიძლება ითქვას, რომ ეს კრიზისი უნგრელმა ესპადრონისტებმა წარმატებით დაძლიეს. ფინალში ისინი შეხვდნენ უკანასკნელ წლებში უძლეველს — საბჭოთა ნაკრებს. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მოფარიკავეები თავიანთ ტიტულს აუცილებლად შეინარჩუნებდნენ, რომ იტალიელი არბიტრის ა. მონტანოს მსაჯობა ობიექტური ყოფილიყო. საბჭოთა სპორტსმენის მ. რაკიტასა და ტ. პეჟას ბრძოლისას უნგრელს ძალზე საკამათო ქულა მიაკუთვნეს. ჩვენმა გუნდმაც ვერაფერი გააკეთა სასიკეთო. თუმცა სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესად ვითვლებოდით. ვერაფრით ვერ შევძელით შეგვეჩვია თანაბარი ძალის შემადგენლობა.

### ● ტატიანა სამუსენკო:

— მოფარიკავე ქალთა ასპარეზობამ უდიდესი წარმატება მოუტანა საბჭოთა გუნდს. აქამდე ჩვენს სპორტსმენებს არასდროს მოუპოვებიათ ფინალის პირად ტურნირში ერთბაშად 4 ადგილი. სხვადასხვა წელს მსოფლიო ჩემპიონებთან ა. ზაბელინასთან, ლ. გოროხოვასთან და ვ. რასტვოროვასთან ერთად ექვსეულში მეც მხვდა წილად ადგილი. წლევანდელი სეზონი ჩემთვის ბედნიერი იყო. პოლონეთში გამართულ სოციალისტური ქვეყნების ტურნირში წარმატება მოვიპოვე და ვიგრძენი, რომ შემიძლია კონკურენცია გავუწიო მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებს. ბრძოლების დამთავრების შემდეგ პირველად მხვდა ბედნიერება ავსულიყავი გამარჯვებულის კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე. ჩვენებმა მოიპოვეს ვერცხლისა (ზაბელინა) და ბრინჯაოს მედლები (გოროხოვა). მოხდა უჩვეულო ამბავი: მსაჯებმა III ადგილი მიაკუთვნეს ერთბაშად სამ სპორტსმენს — გოროხოვას და ჩემპიონატის ორ დებიუტანტს — უნგრელ ი. ბობისს და რუმინელ ე. ენწიკს. ორივე სპორტსმენი ჩინებულ ტექნიკას ფლობს, ფიზიკურადაც შესანიშნავად არის მომზადებული. გამოუცდელობა რომ არა, ისინი უფრო დიდ წარმატებას მიაღწევდნენ.

გუნდურმა პირველობამაც წარმატება მოგვიტანა და უკვე მეორე წელია, ოქროს მედლებს ვიმსახურებთ. უკან ჩამოვიტოვეთ უნგრეთის ნაკრები, რომელსაც მოსკოვში გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდა.

### ● ალექსი ნიკანჩიკოვი:

— რასაკვირველია, მსოფლიო პირველობაში გამარჯვება ჩემთვის მოულოდნელი იყო, რადგან დაშნით მოფარიკავეთა ასპარეზობაში ძალზე ბევრი გამოცდილი სპორტსმენი მონაწილეობდა. უძლიერესთა შორის იყვნენ ისეთი სახელმოხვეჭილი მოფარიკავეები, როგორიც არიან ფრანგი კლოდ ბურკარი (მან სპეციალური ჯილდოც კი მოიპოვა საუკეთესო ტექნიკისთვის), პოლონელი ბ. გონსიორი (მისი სიმაღლე ორი მეტრია), სსრ კავშირის ჩემპიონი ი. ხმოლიაკოვი, რომელმაც ამას წინათ გამართულ საკავშირო ჩემპიონატში გადამწყვეტი ორთაბრძოლა მომიგო. მხოლოდ ერთი — ავსტრიელი რ. ტროსტი იყო ყველასთვის უცნობი. ტროსტი ხუთჭიდელია და მისი ფინალისტთა ექვსეულში გასვლა ყველასთვის მოულოდნელი იყო. ასე იყო თუ ისე, მან ბევრი აღიარებული ფავორიტი დაამარცხა და დაამტკიცა, რომ შემთხვევით არ მოხვედრილა უძლიერესთა შორის.

ფრანგი და საბჭოთა დაშნით მოფარიკავეები უძლიერესები იყვნენ. გუნდურ ტურნირში ფრანგები უძლეველნი აღმოჩნდნენ და ოქროს მედლები დაიმსახურეს.

### ● პიერ ფერი,

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი:

— არ შეიძლება მადლობის სიტყვით არ მოვიხსენიო სსრ კავშირის ფარიკაობის ფედერაცია და მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი ა. პეგოვი, ჩემპიონატი ბრწყინვალედ ჩატარდა. ამას გარდა, უნდა ითქვას, რომ ამ ასპარეზობის საბოლოო შედეგებმა დაამტკიცა ავტორიტეტი ფარიკაობის საბჭოთა სკოლისა, რომელმაც კიდევ უფრო განავითარა ფრანგული და უნგრული სკოლები და თავად დიდად დაწინაურდა.

* * *

სურათზე: პოლონელი რ. პარულსკის (მარცხნივ) და გ. სვეშნიკოვის ორთაბრძოლა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# წარმატება პრაღიდან დაიწყო

ამას წინათ პრაღაში დამთავრდა სტუდენტთა მსოფლიო პირველობა ძიუდოში. საბჭოთა კავშირის ნაკრებში მეტწილად გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები გამოდიოდნენ. „ლელოს“ კორესპონდენტი თ. გაჩეჩილაძე ესაუბრა ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს გ. პაპიტაშვილსა და საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტის სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარეს გ. საჩიძეს. ვაქვეყნებთ ამ საუბრის ტექსტს:

● **რამ განაპირობა მსოფლიო ჩემპიონატში გორელთა მონაწილეობა?**

— ჩვენი სტუდენტები III წელია ინარჩუნებენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულს სამბოში. ძიუდოში სტუდენტთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების შესახებ შარშან შევიტყვეთ კრასნოდარში და გულმოდგინე წვრთნას შევუდექით. წლევანდელ შეჯიბრებებში გამარჯვებულთაგან შედგა ნაკრების კანდიდატთა სია. შემდეგ კი გუნდიც დაკომპლექტდა.

● **როგორ აფასებდნენ ჩვენი ნაკრების შანსებს?**

— ყველა, რა თქმა უნდა, გამარჯვება იაპონელებს უწინასწარმეტყველებდა და მათ უახლოეს კონკურენტებად კი — კორეელ, ფრანგ და პოლონელ სპორტსმენებს მიიჩნევდნენ. ჩვენს ნაკრებს არ თვლიდნენ ძლიერ მეტოქედ, მაგრამ ასპარეზობის პირველსავე დღიდან საბჭოთა ძიუდოისტების აქციები გაიზარდა. მარტო ის რად ღირს, რომ მსუბუქ წონაში „ვერცხლისა“ და „ბრინჯაოს“ ბედი გორელი ფალავნების რ. მაღალთაძისა და ვ. ბორჩაშვილის შეხვედრამ გადაწყვიტა. მაღალთაძეს II ადგილი მიეკუთვნა, ბორჩაშვილს კი — III. პირად პირველობაში გორელმა ათლეტებმა ვერცხლის 2 და ბრინჯაოს ამდენივე მედალი დაისაკუთრეს.

● **როგორ წარიმართა გუნდური პირველობისთვის ბრძოლა?**

— საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ავსტრიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და კორეის გუნდები. 15 კოლექტივიდან სწორედ ჩვენები აღმოჩნდნენ იაპონელთა ღირსეული მეტოქენი. იაპონელები 2 წუთზე მეტს არ ანდომებდნენ მეტოქეებთან სუფთა გამარჯვებას. მაგრამ პირველი ბრძოლა მათ წააგეს. შემდეგ კი აიღეს რევანში. იაპონელთაგან ყველაზე პოპულარულ სასახარასთან ა. ქიბროწაშვილს მოუწია შეხვედრა. მასთან პირად პირველობაზე ქართველმა ფალავანმა ბრძოლა 1 წუთში წააგო. აქ კი მან შური იძია და ზუსტად იმავე დროში დაამარცხა მეტოქე. საინტერესოა, რომ ქიბროწაშვილმა სასახარა ქართული გარესარმით შებოჭვაზე დაიჭირა, რამაც მას სუფთა გამარჯვება მოუტანა. სარატოველმა ვ. პოკატაევმა წააგო შეხვედრა და ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 2:2. ახლა ყველაფერი უკანასკნელ შეხვედრაზე იყო დამოკიდებული. მოლდაველ ვ. გუცოს დაძაბულ ბრძოლაში სძლია გამოცდილმა სინომაკამ. ჩვენები საბოლოოდ II ადგილზე გავიდნენ.

● **რა აზრის იყვნენ სპეციალისტები ჩვენს ფალავნებზე?**

— შეჯიბრების პროცესში მოცვენება არ გვქონდა. გვეკითხებოდნენ, რატომ მაინცდამაინც ქართველები უგებთ იაპონელებსო. ამის მთავარ მიზეზად ჩვენ ქართული ჭიდაობის ილეთების ძალა დავასახელეთ. იაპონელები ძალზე დააინტერესა ჩვენმა პასუხმა.

● **როგორია თქვენი სამერმისო გეგმები?**

— საბჭოთა სტუდენტების წარმატებამ დააფიქრა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭო. როგორც ჩანს, ჩვენთვის მოეწყობა საკავშირო მნიშვნელობის ბაზა, ჩატარდება საერთაშორისო შეჯიბრებები. ისე კი ჩვენი მთავარი მიზანი იაპონიაში უნივერსიადაზე წარმატებით გამოსვლაა.

## სსრ კავშირის პირველობა

### გუშინ...

საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერევნის „არარატმა“ თავის მინდორზე მიიღო კიევის „დინამო“. ერევნელმა სიომინმა თავის კარში გაიტანა ბურთი და გამარჯვება დარჩათ კიეველებს — 1:0.

* * *

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში დუბლიორთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო“ (თბილისი) — „კაირატი“ (ალმა-ათა).

მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2:0. ბურთები „კაირატის“ კარში გაიტანეს ხართიშვილმა და მიქამავიძემ.

### „ბ“ კლასი IV ზონა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონაში.

**სოხუმი.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და გურჯაანის „ალაზანი“. თამაშის პირველ ნახევარს შედეგი არ მოუტანია — 0:0. შესვენების შემდეგ უფრო გამოცდილმა სოხუმელებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება. პირველი ბურთი გაიტანა სვირიდოვმა, ხოლო მატჩის დასასრულს გაზელიამ ანგარიში აიყვანა 2:0-მდე დინამოელთა სასარგებლოდ.

**შ. ჯალაღონია.**

**ზუგდიდი.** ადგილობრივი „ენგურის“ მოწინააღმდეგე იყო ტყიბულის „მეშახტე“. მასპინძლებმა თავიდანვე შეძლეს საერთო უპირატესობის მოპოვება. მათ ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლოთ ბურთის გატანა, მაგრამ კარგად ითამაშა „მეშახტის“ მეკარე ძიძიგურმა და, გარდა ამისა, „ენგურის“ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.

ასეთივე სურათი იყო მეორე ტაიმში. ზუგდიდელებმა კვლავ დაკარგეს რამდენიმე კარგი მომენტი და დასჯერდნენ მხოლოდ ჯოპუას მიერ გატანილ ერთადერთ ბურთს, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება — 1:0.

**გ. ალშიბაია.**

**რუსთავი.** კისლოვოდსკის „სპარტაკი“ და რუსთავის „მეტალურგი“ სატურნირო ცხრილის ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან, ამიტომ მატჩს მათ შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თამაში კარგა ხანს მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა. მხოლოდ ტაიმის დასასრულს მიეცათ მეტალურგებს ბურთის გატანის ორი შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში მაინც არ გახსნილა.

შესვენების შემდეგ ბოჭორიძემ კარგი გარღვევა შეასრულა, გადასცა ბურთი შარაშენიძეს და ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით გაგზავნა იგი მოწინააღმდეგის კარში. დარჩენილ დროში „მეტალურგი“ კვლავ აქტიურობდა, მაგრამ ვერ შეძლო ამ მინიმალური ანგარიშის შეცვლა — 1:0.

**რ. გაბრიჭიძე.**

## მოზარდთა ტურნირები

**კოპეისკი.** (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა გათამაშება ზონაში „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი გუნდებისათვის.

თბილისის „ლოკომოტივმა“ ზონალური ტურნირი საუკეთესოდ ჩაატარა და დაიკავა პირველი ადგილი. თბილისელები გავიდნენ ჯგუფში, სადაც მათთან ერთად ითამაშებენ ცსკა „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) და „ზვეზდა“ (კიროვოგრადი). ყველა ზემოჩამოთვლილი გუნდი ჯგუფში მოხვდა თითო ქულით. დღეს ვთამაშობთ კიროვოგრადთან, ხოლო 26 ივლისს — მოსკოვის არმიელებთან.

**თ. ქობულაძე.**

**მარგანეცი** (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა ნახევარფინალის წინასწარი თამაშები, სადაც თბილისის ახალგაზრდული სასკოლის გუნდმა კარგი თამაში აჩვენა. პირველ მატჩში ნალჩიკის გუნდთან თბილისელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა — 0:0. შემდეგ დამარცხებულ იქნა ლვოვის არმიელთა გუნდი (ბურთი გაიტანა ნახევარმცველმა დანელიამ).

თბილისელთა შემდგომი მოწინააღმდეგე იყო დონეცკის „შახტიორი“. პირველ ტაიმს შედეგი არ მოჰყოლია — 0:0. შესვენების შემდეგ კანთელაძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 1:0. ჩვენი გუნდი ფინალში გავიდა 2 ქულით. ამდენივე ქულა აქვს კიშინიოვის „ავინტულს“, ხოლო ლვოვის არმიელებს და ბაქოს „ნეფტიანიკს“ — არც ერთი ქულა. 24 ივლისს მატჩი გვაქვს კიშინიოვთან, 26 ივლისს — „ნეფტიანიკთან“.

**გ. ბაქანიძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ქუთაისელები ბულგარეთში

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ბულგარეთს გაემგზავრა ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი. ქუთაისელები ბულგარეთში ჩაატარებენ 3 მატჩს მათგან პირველს — ქ. პლოვდივში.

ფეხბურთი



10 წელს იარსება ამერიკელი სპრინტერის დ. ზიმის მსოფლიო რეკორდმა 220 იარდზე რბენაში. ეს იყო ზუსტად 20 წამი. და აი, სულ ახლახანს ფანტასტიკური შედეგით (19,5) მსოფლიო რეკორდი დაამყარა ამერიკელმა სმითმა.

ფოტო „სპორტოვეციდან“ (პოლონეთი).

## ქართული სპორტის ქრონიკა

მასალები შეკრიბა და მოგვაწოდა ვ. სიდამონიძემ

● ბათუმი: კვირას, 6 ოქტომბერს, გამართული იყო აქ ჭიდაობა. იჭიდავა სხვათა შორის, ლილოელმა თ. ავ-მა (ავალიშვილმა ვ. ს.) და ბათუმელმა ბექაიამ. ჯილდოდ გამარჯვებულისათვის დანიშნული იყო 10 თუმანი. შემოსავლის 10 წილი გადადებული იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის“. გაიმარჯვა ლილოელმა და ჯილდოც მან მიიღო. შემოსავლის ათი წილი შესდგა 20 მან., რომელიც გაიგზავნა დანიშნულებისამებრ. შემდეგ ჭიდაობა დანიშნულია 13 ოქტომბერს. ათისთავი გადაიდება ქობულეთში სკოლის დაარსების სასარგებლოდ. შემდეგ კვირას ბ-ნი ნ. ესებუა მართავს ჭიდაობას. აპირებს ნახევარი შემოსავლისა გადასდოს ქართველ ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ.

(„ივერია“, 1891, № 216).

● მოჭიდავეს ნ. ესებუას ცალკე საჭიდაო გაუმართავს მუშტაიდის ახლო ბაღში. ამ ბაღს ჰქვია „სამეგრელოს ბაღი“ და იმყოფება ობსერვატორიის პირდაპირ, მიხეილის ქუჩაზე. აი, აქ აპირობს გლდანელის ძლიერი მოპირისპირე ფალავანი ჰმართოს ყოველ კვირა ჭიდაობა და გაართოს საზოგადოება, რომელიც ისეთის ხალისით და სიამოვნებით ეტანება ამისთანა საერო გართობას. ნ. ესებუა, სხვათაშორის, ხვალ შუადღის უკანაც აპირობს ჭიდაობას.

(„ივერია“, 1889, № 218).

● გუშინწინ, 19 ოქტომბერს „სამეგრელოს ბაღში“ ჭიდაობა იყო გამართული. ამ სანახავს იმდენი ხალხი მააწყდა, რომ ნემსი არ ჩაიგდებოდა და ძვრა არ იყო. პირველში თუ ოთხი რიგობა სხვადასხვებმა იჭიდავეს და იმათი გამკლავება მაგდენად საინტერესო არ იყო, მაყურებელნი მოუთმენლად მოელოდნენ ნესტორ ესებუას და თათარს ალთი-აილუღს. ამ ორ განთქმელ ფალავანს, რომელნიც იმ დღეს უნდა გამკლავებოდნენ ერთმანეთს. აგერ გამოვიდა კიდევ ალთი-აილუღი, ზორბა და უშველებელი, მსხვილძარღვა კაცი. ცოტა ხანს შემდეგ იმასვე გამოჰყვა ნესტორ ესებუაც. ისიც მოსული და ტანოვანი, მაგრამ უფრო კი სუსტი აგებულებისა. ორივე მოჭიდავე წელსზევით ტიტვლები იყვნენ. ჯერ მოედანს დაუარეს და მერე ეძგერნენ ერთმანეთს. კარგა ხანს იძიძგილავეს და აგერ ალთი-აილუღმა ორჯერ წააჩოქა ესებუა. ხალხმა კიჟინა დასცა და „მან შალას“ ყვირილი დაუწყეს თათარს. ცოტა ხანს შემდეგ, თითქოს თათრის გამარჯვება იწყინაო, ესებუამ მკვირცხლი სარმა გამოჰკრა მარჯვენა ფეხით და თათარი წაატორტმანა, წააბარბაცა და ბარძაყიც კი დააკვრევინა დედამიწაზე. შემდეგ კიდევ კარგა ხანს იძიჰგილავეს, მაგრამ პირობად დანიშნული ვადა გავიდა და ისე გაშველდნენ, რომ არც ერთს არ დაუმარცხებია.

(„ივერია“, 1889, № 228).

● წარსულ კვირას მოჭიდავე ნ. ესებუას გაუმართავს გორში ჭიდაობა, რომლის შემოსავლის ერთი ნაწილი ციხის გამგე კომიტეტის სასარგებლოდ შეუწირავს. ჭიდაობა ალიხანოვის ეზოში გაუმართავთ და დიდ-ძალი ხალხი დასწრებია. თვითონ ესებუას არ უჭიდავნია. დაუჭიდებია ქალაქელი ბიჭი გვარად ურჯანოვი და ქართლელი ბერო ხვედურელი. როგორც გვახსოვს, ეს ორი აქაც ჩვენს ქალაქში შესჯიბრებიან ერთმანეთს და გამარჯვებული ურჯანოვი დარჩენილა. ეხლაც ესე მომხდარა. ესებუას 22 მანეთი შეუწირავს ციხის კომიტეტისთვის.

(„ივერია“, 1891 წ. № 187).

● მომავალ კვირას, 8 ამ თვეს, ესებუა ჭიდაობის გამართვას აპირებს ლაბა აბაშაში. მესამედი შემოსავალი იქაური სასწავლებლის სასარგებლოდ იქნება გადადებული. თვითონ ესებუა იჭიდავებს მელიტონ კუპრაშვილთან და აქედან მიჰყავს გლდანელის ძმა მიხა, რომელიც კოტა გოგიავას უნდა დააჭიდოს.

(„ივერია“, 1891, № 187).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

„ლელო“ თბილისი

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი-ი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.